კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ - ქალაქ ბოლნისის N5 საჯარო სკოლა	იზოლდა არზუმანიდუ,

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა?	ფინანსური განათლება თანამედროვე სამყაროში საბაზისო ცხოვრებისეულ კომპეტენციად მიიჩნევა და მისი საფუძვლები ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩამოყალიბდეს, რათა ადამიანებმა სამომავლოდ შეძლონ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ჩვენი სკოლის იდეათეკაში "ფინედუს კუთხის" შექმნა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო: • "ფინედუს კუთხე" შექმნის ერთიან სივრცეს, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ექნებათ წვდომა ხარისხიან რესურსებზე ფინანსური განათლების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ცოდნის დონეს ამ სფეროში. • სკოლის იდეათეკაში, რომელიც უკვე არის მოსწავლეების საყვარელი სივრცე, "ფინედუს კუთხის" არსებობა უზრუნველყოფს, რომ ფინანსური განათლების მასალები იქნება ხელმისაწვდომი სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის და ინტეგრირებული იქნება სხვადასხვა საგნებში, რაც ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარებას. • განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენი სკოლა უკვე აქტიურად თანამშრომლობს ფინედუსთან და ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი და წარმატებულია. წარსული ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც ფინედუსთან ერთად განვახორციელეთ, მოსწავლეების დიდი ენთუზიაზმით იქნა მიღებული. მათ დიდი ინტერესი გამოხატეს და მუდმივად ითხოვენ მსგავსი აქტივობების განმეორებასა და სხვებისთვის გაზიარებას. ეს

	არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა და მოსწავლეების პოზიტიური გამოხმაურება ქმნის მყარ საფუძველს იმისათვის, რომ "ფინედუს კუთხე" ჩვენს სკოლაში განსაკუთრებით წარმატებული იქნება.
• როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს?	"ფინედუს კუთხე" მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სკოლის საგანმანათლებლო პროცესში შემდეგი გზებით: • ხელს შეუწყობს ფინანსური განათლების მდგრად და სისტემურ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, რაც მოსწავლეებს დაეხმარება, პრაქტიკული ფინანსური უნარ-ჩვევები განივითარონ ადრეული ასაკიდანვე, როგორც ეს ფინედუს მისიას შეესაბამება. • გააძლიერებს საგანთაშორის კავშირებს, რადგან ჩვენი დაგეგმილი ფინანსური კალენდრის პროექტით ფინანსური განათლება ინტეგრირებული იქნება სხვადასხვა საგნებში. • გაზრდის მოსწავლეების მოტივაციას, რადგან ფინანსური განათლების თემები პირდაპირ კავშირშია რეალურ ცხოვრებასთან და პრაქტიკულ გამოწვევებთან. მოსწავლეები ნათლად დაინახავენ, როგორ უკავშირდება მათ მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა ყოველდღიურ საჭიროებებს. • დაგეგმილი აქტივობები გააძლიერებს სკოლის კავშირს თემთან. • დაგეგმილია სხვადასხვა სტუმრების მოწვევა, რაც მოსწავლეებს დაეხმარება, გაეცნონ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს და მიიღონ პრაქტიკული რჩევები. • შექმნის საფუძველს სხვა სკოლებთან თანამშრომლობისთვის.
• რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	"ფინედუს კუთხე" აქტიურად იქნება გამოყენებული ჩვენს სკოლაში შემდეგი მიზეზების გამო: • "ფინედუს კუთხე" განთავსდება სკოლის იდეათეკაში, რომელიც უკვე არის მოსწავლეების საყვარელი სივრცე, სადაც ისინი სიამოვნებით ატარებენ დროს და ეძებენ მათთვის საინტერესო მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურას. მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ იდეათეკით და ხშირად გააქვთ წიგნები, რაც უზრუნველყოფს, რომ "ფინედუს" მასალებიც მაღალი მოთხოვნით ისარგებლებს.

	• დაგეგმილი გვაქვს ფინანსური წიგნიერების კლუბის შექმნა, რომელიც ფინანსური კალენდრის კონცეფციაზე დაყრდნობით, წლის განმავლობაში მთელ რიგ აქტივობებს განახორციელებს. კლუბის წევრები იქნებიან "ფინედუს" მასალების აქტიური მომხმარებლები და პოპულარიზატორები. • ფინანსური კალენდარი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან თარიღებს და თემატურ დღეებს მოიცავს, უზრუნველყოფს "ფინედუს" მასალების რეგულარულ და მრავალფეროვან გამოყენებას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ყოველ თვეში დაგეგმილი სულ მცირე 1-2 მნიშვნელოვანი ღონისძიება გახდის "ფინედუს კუთხეს" მუდმივად აქტუალურს. • ინტეგრაცია სხვადასხვა საგნებთან უზრუნველყოფს, რომ სხვადასხვა ინტერესების მქონე მოსწავლეებს ექნებათ მოტივაცია, გამოიყენონ "ფინედუს" მასალები. • პრაქტიკული აქტივობები, როგორიცაა კომიქსებზე დაყრდნობით სპექტაკლის დადგმა დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან ერთად, სამაგიდო თამაშების ტურნირები, ნახატების კონკურსი დაზოგვის დღესთან დაკავშირებით და სხვა, გახდის "ფინედუს" მასალებს მიმზიდველს და ინტერაქტიულს. • მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, თავადაც იყვნენ ცოდნის გამავრცელებლები - კლუბის წევრები ჩაატარებენ შეხვედრებს თანატოლებისთვის, მშობლებისთვის, რაც გაზრდის მათ პასუხისმგებლობას და ჩართულობას. ყველა ეს ფაქტორი ერთობლივად უზრუნველყოფს, რომ "ფინედუს კუთხე" გახდება სკოლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და მისი მასალები აქტიურად იქნება გამოყენებული როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მიერ.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ. • განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	• სკოლის III-XII კლასების მოსწავლეები (დაახლოებით 500-მდე მოსწავლე) • სკოლის მასწავლებლები • მოსწავლეების მშობლები და ოჯახის წევრები • პარტნიორი სკოლების მოსწავლეები

ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	• **ძირითადი სივრცე:** სკოლის იდეათეკა (საკლასო ოთახები, დარბაზი - სპეციფიკური ღონისძიებებისთვის)
	• **ხანგრძლივობა**: 2025-2026 სასწავლო წელი (სექტემბერი 2025 - ივნისი 2026)
	• **ჯერადობა**:
	  • ფინანსური წიგნიერების კლუბის შეხვედრები - კვირაში ერთხელ
	  • თემატური ღონისძიებები - თვეში მინიმუმ 1-2-ჯერ (ფინანსური კალენდრის შესაბამისად)

ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტს ვახორციელებ როგორც ინიციატორი და კოორდინატორი, ასევე სკოლის იდეათეკის ხელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს სივრცის ოპტიმალურ გამოყენებას და პროექტის მდგრადობას. იდეათეკის ხელმძღვანელის სტატუსი მაძლევს შესაძლებლობას, სრულად გამოვიყენო ამ სივრცის პოტენციალი ფინანსური განათლების პოპულარიზაციისთვის და უზრუნველვყო "ფინედუს კუთხის" ეფექტური ინტეგრაცია იდეათეკის ყოველდღიურ ფუნქციონირებაში. პროექტში ასევე აქტიურად იქნებიან ჩართული:

	• **სკოლის ადმინისტრაცია** - ორგანიზაციული მხარდაჭერა, სივრცით, ტექნიკით, ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვაში დახმარება. • **სხვადასხვა საგნების მასწავლებლები**: ○ ქართული ენა და ლიტერატურა- ლიტერატურაში ფინანსური თემების იდენტიფიცირება ○ დაწყებითი კლასების მასწავლებლები- კომიქსების მიხედვით სპექტაკლების დადგმა ○ ისტორია- ისტორიული კონტექსტის შესწავლა ○ მათემატიკა - პრაქტიკული ფინანსური გამოთვლები ○ უცხო ენები - ქვეყნების ეკონომიკური სისტემები და პრეზენტაციები უცხო ენებზე ○ ხელოვნება - გამოფენების და ვიზუალური მასალების მომზადება ○ ბიოლოგია - შინაური ცხოველების მოვლის ფინანსური ასპექტები • **მოწვეული სტუმრები** - გამოცდილების გაზიარება • **პარტნიორი სკოლები** - სამაგიდო თამაშების დღის და სხვა ერთობლივ აქტივობებში მონაწილეობა
პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	პროექტი "ფინანსური კალენდარი" წარმოადგენს ინოვაციურ და განგრძობით ინიციატივას, რომელიც მოიცავს ფინანსური წიგნიერების კლუბის შექმნას და 2025-2026 სასწავლო წლის ფინანსური კალენდრის შემუშავებას. კალენდარში აღნიშნული იქნება მნიშვნელოვანი თარიღები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ განათლებასთან, და თითოეული თარიღისთვის დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობა. პროექტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთიანებს ფინანსურ განათლებას სხვა საგნებთან, რაც ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ სწავლებას. **პროექტის ძირითადი კომპონენტები** 1. **ფინანსური წიგნიერების კლუბის შექმნა**: ○ სასწავლო წლის დასაწყისში მოხდება კლუბის წევრების შერჩევა VII-XII კლასების მოსწავლეებიდან (დაახლოებით 15-20 მოსწავლე)

- კლუბის წევრებისთვის ჩატარდება საწყისი ტრენინგები "ფინედუს" მასალების გამოყენებით
- შემუშავდება კლუბის სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის

2. **ფინანსური კალენდრის შექმნა და განხორციელება**: თვეების მიხედვით დაიგეგმება სხვადასხვა თემატური ღონისძიებები, რომლებიც დაუკავშირდება როგორც მნიშვნელოვან თარიღებს, ისე სხვადასხვა საგნებს.
   კალენდარი მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:
   სექტემბერი 2025
   - **19 სექტემბერი** - ფინანსური კალენდრის პრეზენტაცია
   - **27 სექტემბერი - მსოფლიო ტურიზმის დღე** (ინტეგრაცია გეოგრაფიის საგანთან) - მოსწავლეები შეიმუშავებენ ბიუჯეტურ სამოგზაურო გეგმებს

   ოქტომბერი 2025

   - **8 ოქტომბერი - ბანკირის დღე** - **ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე** - კონფერენცია თემაზე "ილია ჭავჭავაძე - საქართველოს პირველი ბანკირი", "ოთარაანთ ქვრივში" ფინანსური თემების ანალიზი (ინტეგრაცია ქართული ენისა და ლიტერატურის საგანთან)
   - **21-27 ოქტომბერი - მედიაწიგნიერების კვირეული** - ვორკშოპი "ფინანსური თაღლითობის ამოცნობა ციფრულ სივრცეში" (ინტეგრაცია ისტ-ის და მედიაწიგნიერების საგნებთან)
   - **31 ოქტომბერი - მსოფლიო დაზოგვის დღე** - დაზოგვის თემაზე ნახატების კონკურსი და გამოფენა იდეათეკაში (ინტეგრაცია ხელოვნების საგანთან)

   ნოემბერი 2025

   - **17 ნოემბერი - სტუდენტების საერთაშორისო დღე** - შეხვედრა მოქმედ სტუდენტებთან, სტუდენტური ბიუჯეტის დაგეგმვა
   - **20 ნოემბერი - "ბებია გვირჩევს"** - თაობათა შორის ფინანსური გამოცდილების გაზიარება, უფროსი თაობის წარმომადგენლების მოწვევა

დეკემბერი 2025

- **12 დეკემბერი - ლარის დღე** - ქართული ვალუტის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ პრეზენტაციები (ინტეგრაცია ისტორიის საგანთან)

იანვარი 2026

- **15 იანვარი - კომიქსის დღე: ფინანსური ისტორიები** - ფინედუს კომიქსების მიხედვით პატარა სპექტაკლის დადგმა "დაზოგვის ამბავი" მე-3-მე-4 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით (ინტეგრაცია დაწყებითი კლასების პედაგოგებთან, კლასის დამრიგებლებთან)

თებერვალი 2026

- **8 თებერვალი - ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების დღე** - კლუბის წევრები ინტერაქტიულ ვორკშოპს უტარებენ მშობლებს ონლაინ ფინანსური უსაფრთხოების შესახებ (ინტეგრაცია ისტ-სთან)
- **15-19 თებერვალი - მათემატიკის და ფინანსების კვირეული** - პრაქტიკული ფინანსური გამოთვლები (ინტეგრაცია მათემატიკასთან)

მარტი 2026

- **15 მარტი - მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღე** - მოსწავლეები ატარებენ შეხვედრას მშობლებისთვის (ინტეგრაცია სამოქალაქო განათლებასთან)
- **16-22 მარტი - ფულის გლობალური კვირეული** - ვიქტორინა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებზე

აპრილი 2026

	○ **11 აპრილი - შინაური ცხოველების მოვლის დღე** - ვეტერინარის მოწვევა, დისკუსია შინაური ცხოველების მოვლასთან დაკავშირებულ ფინანსურ პასუხისმგებლობაზე (ინტეგრაცია ბიოლოგიასთან) ○ **22 აპრილი - დედამიწის დღე** - მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება (ინტეგრაცია გეოგრაფიასთან და ბიოლოგიასთან) **მაისი 2026** ○ **1 მაისი - შრომის საერთაშორისო დღე** - CV-ის შედგენის ვორკშოპი, გასაუბრების ინსცენირება ○ **9 მაისი - ევროპის დღე** - ევროკავშირის ეკონომიკური სისტემა, პრეზენტაციები უცხო ენებზე (ინტეგრაცია უცხო ენებთან და ისტორიასთან) **ივნისი 2026** ○ **7 ივნისი - სამაგიდო თამაშების დღე** - რეგიონის სხვადასხვა სკოლების გუნდების მონაწილეობით "ფინანსური ასოციაციობანას" ტურნირი იდეათეკაში ○ **15 ივნისი - ფინანსური წლის შეჯამება** - პროექტის შედეგების პრეზენტაცია და მომავალი წლის გეგმების განხილვა
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	პროექტის წარმატების შეფასება მოხდება შემდეგი მაჩვენებლებით: 1. **რაოდენობრივი მაჩვენებლები**: ○ ფინანსური წიგნიერების კლუბის წევრების რაოდენობა და აქტიურობა ○ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა (მიზანი: მინიმუმ 15 თემატური ღონისძიება წლის განმავლობაში) ○ "ფინედუს კუთხით" მოსარგებლე მოსწავლეების რაოდენობა (მიზანი: სკოლის მოსწავლეების მინიმუმ 70%) - სკოლა სარგებლობს ელექტრონული ბიბლიოთეკის მომსახურებით, შესაბამისად იდეათეკის თითოეული წიგნით მოსარგებლე მოსწავლეების ზუსტი რაოდენობა ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი.

	○ სხვადასხვა საგნებში ინტეგრირებული ფინანსური განათლების გაკვეთილების რაოდენობა ○ ჩართული მშობლების და თემის წარმომადგენლების რაოდენობა 2. **ხარისხობრივი მაჩვენებლები**: ○ მოსწავლეებში ფინანსური განათლების დონის ზრდა (შეფასდება პრე და პოსტ ტესტებით) ○ პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტების (პრეზენტაციები, ესეები, ბიზნეს იდეები) ხარისხი ○ მოსწავლეების დამოკიდებულების ცვლილება ფინანსური პასუხისმგებლობის მიმართ (შეფასდება გამოკითხვებით) ○ მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების კმაყოფილების დონე პროექტით (შეფასდება უკუკავშირის ფორმებით) 3. **გრძელვადიანი ზეგავლენა**: ○ ფინანსური განათლების მდგრადი ინტეგრაცია სასკოლო ცხოვრებაში ○ საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება სხვა სკოლებისთვის რეგიონში წარმატებას ასევე შევაფასებთ "ფინედუს კუთხის" მდგრადობით - რამდენად გაგრძელდება მისი აქტიური გამოყენება პროექტის დასრულების შემდეგაც.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	პროექტის ინიცირება დაგეგმილია 2025 წლის სექტემბრერში, სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ფინანსური წიგნიერების კლუბის ფორმირება და ფინანსური კალენდრის პრეზენტაცია მოხდება სექტემბრის თვეში. პირველი თემატური ღონისძიება ჩატარდება 27 სექტემბერს - მსოფლიო ტურიზმის დღესთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები გაგრძელდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, თუმცა, "ფინედუს კუთხე" გახდება სკოლის მუდმივი რესურსი, რომელიც აქტიურად იქნება გამოყენებული მომდევნო წლებშიც.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ